



საქართველოს ეროვნული ბანკის გიცე-პრეზიდენტის

## განდარბულება

2016 წლის 7 ოქტომბერი

595

N<sup>o</sup>

თბილისი

**სს „M2 უძრავი ქონების“ ობლიგაციების ემისიის საბოლოო პროსპექტის  
დამტკიცების და საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭების თაობაზე**

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, ამავე კანონის 52-ე მუხლის „ა“ და „დ“ პუნქტების, „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-11 და მე-15 პუნქტების, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2016 წლის 5 აგვისტოს N79/04 ბრძანებით დამტკიცებული „საწარმოთა ობლიგაციების ემისიის, საჯარო შეთავაზების და განთავსების ანგარიშების შესახებ“ წესის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2011 წლის 7 სექტემბრის N73/04 ბრძანებით დამტკიცებული „ფასიანი ქაღალდების საიდენტიფიკაციო ნომრის მოთხოვნის, მინიჭების და ემისიის დამტკიცებული პროსპექტის რეგისტრაციის წესის“ მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის და მე-4 მუხლის მე-7 პუნქტისა და საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2013 წლის 27 ივნისის N66/04 ბრძანების საფუძველზე:

- დამტკიცდეს სს „M2 უძრავი ქონები“-ს ობლიგაციების ემისიის საბოლოო პროსპექტი.
- დამტკიცებული ემისიის საბოლოო პროსპექტის რეგისტრაცია განხორციელდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.
- სს „M2 უძრავი ქონები“-ს ახლად ემიტირებულ ობლიგაციებს მიენიჭოს საიდენტიფიკაციო ნომერი GE 2700603436.
- წინამდებარე განკარგულების ამოქმედებიდან 3 დღის ვადაში ეცნობოს სს „M2 უძრავი ქონება“-ს ახლად ემიტირებული ობლიგაციებისთვის საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭების თაობაზე.

5. აღნიშნული განკარგულების გასაჩივრება შეიძლება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6) მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
  6. ეს განკარგულება ამოქმედდეს მხარისათვის გაცნობისთანავე.

ვიცე-პრეზიდენტი



## ოთარ ნადარაია